



ა კ ა დ ი ტ ე ბ ი ს

ე ნ გ მ ე ბ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქადაგის მიზანი – სამართლებრივი და სამეცნიერო მომსახურება
სამართლებრივი და სამეცნიერო მომსახურება



№4, ივნისი, 2017



აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის სოფლის
მეცნიერების მეცნიერებათა
განყოფილება

1941-1945 წლებში სოფლის მეცნიერების მეცნიერებათა განყოფილება აერთიანებდა 11 სამეცნიერო დაწესებულებას. ამავე პერიოდში განყოფილებაში ირიცხებოდნენ აკადემიკოსები: ქსენია ბახტაძე, ვასილ გულისაშვილი, ნიკოლოზ კეცხოველი (განყოფილების თავმჯდომარე), ტარას კვარაცხელია, მიხეილ საბაშვილი, ლევან ყანჩაველი, სოლომონ ჩოლოყაშვილი; წევრ-კორესპონდენტები: დიმიტრი გედევანიშვილი, მიხეილ დარასელია, ლეონიდ დეკაპრელევიჩი, ლეონიდე კალანდაძე, იულინ ლომოური, შალვა ჭანიაშვილი.

1946 წელს საოფლო-სამეცნიერო მეცნიერებათა განყოფილებას დამატა ახლადშექმნილი „ნიადაგმცოდნების, მელიორაციისა და აგროქიმიის ინსტიტუტი“.

სოფლის მეცნიერების დარგში კვლევა-ძიების გაფართოვებისა

და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, ბიოლოგიური და მედიცინის განყოფილება რეორგანიზებული იქნა ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილებად.

1961 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებასთან დაკავშირებით, მასში შემავალი ინსტიტუტები დარჩა სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

საქართველოს ზემდგომი ორგანოების 1973 წლის 29 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, 1974 წლის 3 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო სპეციალური დადგენილება რესპუბლიკაში ახალი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და ქვეგანყოფილებების ჩამოყალიბებისა და მსხვილ სამრეწველო და ეკონომიკურ ცენტრებში მათი რაციონალური განლაგების შესახებ. პრეზიდიუმმა მიზანშენონილად ჩათვალა შექმნილიყო კოლხეთის დაბლობის და სუბტროპიკული მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკირების საპროექტო-საკვლევი ბიურო საცდელი წარმოებითურთ. იმავე წლის ოქტომბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა ბაზაზე შეიქმნა 3 განყოფილება მ.შ. „სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა პრობლემების განყოფილება“. ამ

განყოფილებას დღიდან მისი აღდგენისა 1990 წლამდე სათავეში ედგა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ დარასელია, რომელსაც პრემია 1951 წელს მიენიჭა მონოგრაფიისათვის - „ეწერი და წითელმიწა ნიადაგები და მათი გამოყენება სუბტროპიკული კულტურებისათვის“.

2001 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 11 იანვრის N 16 დადგენილებით მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების სამეცნიერო-კვლევით სექტორს (შემდგომში ის ინსტიტუტად გადაკეთდა) მიანიჭა მისი დამაარსებლის, გამოჩენილი მეცნიერის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მიხეილ რჩეულიშვილის სახელი. ინსტიტუტის ძირითად საქმიანობად ჩაითვალა „ალმოსავლეთ საქართველოს დამლაშებულ ნიადაგებზე ძროხის ხორცის წარმოების რაციონალური ტექნოლოგია“. ამ მიმართულებით, ადრე დაწყებული კვლევების საფუძველზე, კახეთში შეიქმნა 24 ათას სულ ძროხაზე გათვლილი წნორის მეცხოველეობის კომპლექსი.

1992 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში გადმოყვანილი იქნენ ყოფილ საბჭოთა კავშირის საუნივერსიტეტო დაქვემდებარების ინსტიტუტები: ვ. გულისაშვილის

შინაარსი:

აკად. ოთარ ნათიშვილი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება

ენვერ ნიუარაძე – „ალექსანდრე მანველიშვილი“

ალექსანდრე მანველიშვილი – საქართველოს ტერიტორია და საზღვრები

სახელობის სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს წყალთა მეურნეობის და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი.

სატყეო ინსტიტუტში კვლევითი მუშაობა მინდინარეობდა სამი – სატყეო მეურნეობის, ტყის კულტურების და მექანიზაცია-ტრანსპორტის – მიმართულებით. ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი გიგაური. ინსტიტუტში შესწავლილი იქნა წილის, ნაძვის, სოჭის, ფიჭვის, მუხების, წაბლის და სხვა ჯიშების ფესვთა სისტემის თავისებურებანი ნიადაგობრივ პირობებთან დაკავშირებით, მათი აღმონაცენ-მოზარდის დამოკიდებულება მზის პირდაპირი რადიაციისა და ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურასთან, მათი გავრცელება ზრდის ფაქტორებთან დაკავშირებით.

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მოღვაწეობის ობიექტს შეადგენდა: ზღვისა და მდინარეების სანაპირო ზოლებში ეროვნულ-დარციფრული მოვლენები, გარემოს დაცვა, ბუნებრივი კატასტროფები, მელიორაცია, პიდროტექნიკურ ნაგებობათა საიმედოობა და მსგავს მოვლენებთან დაკავშირებული საკითხები. ინსტიტუტს 40 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა.

განყოფილებაში შემავალ ბოტანიკურ ბალებში (ცენტრალური, სოხუმის და ბათუმის) მიმდინარეობდა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის კვლევები, ქალაქებისა და დასახლებული ადგილების მიხედვით.

განყოფილების ინიციატივით 2015-16 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა:

1. მინის ფონდის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისია;

2. ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემათა კომისია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უკანასკნელ წლებში გარდაცვლი-

ლი აკადემიკოსების – ცოტნე მირცხულავას, გიორგი გიგაურის და პეტრე ნასყიდაშვილის დამსახურება ქვეყნის წინაშე.

პიდროვლიური კვლევების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ელის პლატე აღნიშნავდა, რომ აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა არის მსოფლიოში პირველი მკვლევარი პიდროტექნიკურ ნაგებობათა საიმედოობის საკითხებში, რომელმაც ბიძგი მისცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ მიმართულებით ფართო კვლევების ჩატარებას. იგი ითვლება ნიადაგის ეროვნის საინჟინერო პროგნოზირების, ეკოლოგიური მდგრადობის და პიდროტექნიკურ ნაგებობათა საიმედოობის თეორიის ფუძემდებლად. მისი მონოგრაფიები გამოცემულია აშშ-ში, პოლანდიაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში. მისი კვლევების შედეგები შეტანილია საზღვარგარეთ გამოცემულ პიდროვლიკის, მელიორაციის, პიდროტექნიკური ნაგებობების სასწავლო სახელმძღვანელოებში.

აკადემიკოს გიორგი გიგაურის მიერ შესწავლილია საქართველოს ტყების წარმოშობის, ზრდა-განვითარების და ფორმირების კანონმდებლები. გამოკვლეულია მთის ტყების ტავესაციისა და მოწყობის თავისებურებანი, შემუშავებულია საქართველოს ტყების ეკონომიკური დარაიონების სქემა. დადგენილია მთის ტყების ჭრის ოპტიმალური ხორვანება, სიმწიფის ზღვრები და ამორჩევითი მეურნეობის პირობებში მერქნით სარგებლობის ყოველწლიური ოდენობის განსაზღვრის პრინციპები.

აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო: გამოყენებითი ბოტანიკის სისტემატიკის, ევოლუციური ფილოგენეტიკის, გენეტიკა-სელექციის, მეთესლეობის, მეცნიერებრივის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. მის მიერ მოწაფებთან ერთად მიღებული და დარაიონებულია

ხორბლის, ტრიტიკალეს, ქერის, სიმინდის და ლობიოს 19 ჯიში და ჰიბრიდი. იგი მრავალი წლის მანძილზე ასრულებდა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოვალეობას.

2017 წლის მდგომარეობით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში ირიცხება 5 წევრი მ.შ. 3 აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილებას ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი.



აკადემიკოს რთარ ნათიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო პიდროტექნიკური ნაგებობების მდგრადობის შესწავლა, ირიგაციისა და დრენაჟის აგრარულ სექტორში წამოჭრილი პრობლემების დამუშავება და სხვ.

აკადემიკოს ინტერესების გამოცემუნებული აქვს შრომები: 15 მონოგრაფია (მ.შ. 7 საზღვარგარეთ), 6 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, 196 სამეცნიერო სტატია (მ.შ. 90%-ზე მეტი საზღვარგარეთ) პერიოდულ გამოცემებში.

ბოლო პერიოდში შესრულებული სამუშაოები:

▲ შერჩეულია „რთული“ რელოგიური მოდელი, რომელიც ესადაგება როგორც სტრუქტურულ, ასევე ტურბულენტურლვარცოფული ნაკადების ბუნებას.

▲ შესწავლილი სისტემების ლოგიკური და სტრუქტურული მსგავსების ხარჯზე გამოვლენილია ღვარცოფის ზოგიერთი, დღემდე უცნობი თვისება.

▲ შეირჩა დამოკიდებულება, რომელიც შინაგანი ხახუნის ძალას აკავშირებს ღვარცოფის მასის სიჩქარესთან.

▲ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ნაკლებად შესწავლილ ღვარცოფის დაუმყარებელი მოძრაობის საკვანძო საკითხებზე, რაც საფუძვლად დაედო თანამედროვე ღვარცოფი-

საწინააღმდეგო ნაგებობების დაპროექტების და მშენებლობის საკითხების გადწყვეტას ტალღური მოძრაობის პარამეტრების გათვალისწინებით.

კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ გრძელი მცირე ამპლიტუდის მქონე ტალღის სიჩქარე ბმული (სტრუქტურული) ღვარცოფისათვის სამჯერ აღმატება ნაკადის ცოცხალი კვეთის საშუალო სიჩქარეს, ხოლო ტურბულენტური ტიპის ღვარცოფისათვის იგი ერთნახევრის ტოლია, რის გათვალისწინებითაც აუცილებელია ღვარცოფისანააღმდეგო ნაგებობათა პროექტირებისას მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

მდინარის სატრანზიტო ზონიდან გამოტანის კონუსზე ნაკადის ჰიდროლოგიური პარამეტრების დასადგენად შემუშავებული მეთოდიკა ითვალისწინებდა ნაკადის დაუმყარებელი რეზიმით მოძრაობას, მის, როგორც ცვლადი, ასევე მუდმივი ხარჯით გადაადგილებას. განისაზღვრა ბმული ღვარცოფის გამოტანის კონუსზე გაჩერების ადგილი და გაჩერებული მასის სტატიკური პარამეტრები.

სამდინარო ჰიდროკვანძების მშენებლობა მოითხოვს ისეთი თევზგამშვები ნაგებობების დაპროექტებას, რომელიც ხელს შეუწყობს თევზის ქვედა ბიეფიდან თევზის ზედა ბიეფში უპრობლემიდ გადაადგილებას და არ დაუშვებს დერიკაციულ ან ირიგაციულ სადინარებში თევზის მოხვედრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამუშავებული იქნა აღნიშნული მარგინალური ტიპის თევზგადამლობი და მასთან შეთავსებული თევზგამშვები ჰიდროკვანძების ჰიდროკვლიკური გაანგარიშების მეთოდიკები, გაანგარიშებს საფუძვლად დაედო ნაგებობის ფარგლებში ნაკადის ისეთი მუდმივი დასაშვები სიჩქარის უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტულ მდინარეში თევზის და ლიფსიტების ძირითად სახეობათა დინების საწინააღმდეგოდ უსაფრთხო გა-

დაადგილებას არსებული ბიოლოგიური და ეკოლოგიური წონას-წორობის შესანარჩუნებლად.

საირიგაციო დანიშნულების არხებში უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ორფაზიანი ნაკადის მოძრაობას; შედეგენილია ორფაზიანი (წყალი, მყარი ნაწილაკები) ნაკადების დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა არაპრიზმარულ კალაპოტებში დაუმყარებელი მოძრაობის დახასიათებისათვის. მიღებულ განტოლებათა სისტემა იძლევა საშუალებას გადაწყდეს (ემპირიული მიდგომის ნაცვლად) ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საღებარების (მუდმივად და პერიოდულად მომქმედი) გასაანგარიშებლად, ნაკადში მყარი ნაწილაკების კონცენტრაციის ცვლილებებისას. უტოლობის ფორმით განისაზღვრა ორფაზიანი ნაკადების წყნარი, მძაფრი, კრიტიკული და ზემძაფრი რეზიმები; დადგინდა მიწის კაშხლის დანგრევის შედეგად წარმოქმნილი ტალღური ნაკადის ცვლადი დინამიკური პარამეტრები; შეფასდა ნაგებობის ქვედა ბიეფის კალაპოტის დეფორმაციის პროცესები დროსთან ურთიერთყავშირში.

დიდი ქანების მქონე მეორე რიგის სარწყავი არხების გამანილებელი ნაგებობის დასაპროექტებლად რეკომენდირებულია ფსკერული ტიპის რესურსდამზოგი ორმხრივი გამანანილებელი ჰიდროკვანძი, რომელიც უზრუნველყოფს ჭარბი ენერგიის მნიშვნელოვნად შემცირებას, რაც თავიდან აგვაცილებს მესამერიგის მოუპირკეთებელ არხებში ეროზიული პროცესების შემდგომ განვითარებას.

მონანილება წორმატიული დოკუმენტების შედენაში:

▲ იუნესკოს მიერ გამოცემულ სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემათა ენციკლოპედიაში, ღვარციფების და მასთან პრძოლის მეთოდების 5.9.33.2000 განაყოფის დამუშავება.

▲ ღვარცოფისანინააღმდეგო ნაგებობათა დაპროექტება და

მშენებლობა (წორმატიული დოკუმენტი დამტკიცებული სსრკ სახმშენის მიერ);

▲ **მეთოდური დამუშავება ღვარცოფისანინააღმდეგო და დასაპროექტებლად** (წორმატიული დოკუმენტი დამტკიცებული სსრკ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ);

▲ „**მელიორაციული ენციკლოპედია**“ | ტომი (სამთო მელიორაციის პრობლემები. რუსეთის ფედერაცია)

▲ ცნობარი „**მელიორაცია და წყალთა მეურნეობა**“ (სარწყავი სისტემის გამანანილებელი კვანძები, ღვარცოფისანინააღმდეგო ნაგებობები. რუსეთის ფედერაცია);

▲ „**მეთოდური რეკომენდაციები ღვარცოფისანინააღმდეგო ნაგებობების პროექტირებისათვის**“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2016 წ.);

▲ **სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელობა, რომელიც ამზადებს „საქართველოს ეროვნულ პროცესებთან პრძოლის კომპლექსურ პროგრამას“, 2018-2025 წლისათვის.**

❖ **აკადემიკოს ავთანდილ კოსახვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა სასოფლო-სამეურნეო კულტურული აგროტექნოლოგიების სრულყოფა, მათი მოყვანის და მაღალი ტექნოლოგიებით დამუშავების კვლევა, აგრეთვე ბიოტექნოლოგიები საკვებნარმობებაში, აგრძიომრავალფეროვნების in-situ, ex-situ/on ფარმერს პირობებში დაცვა, ახალი ჯიშების შექმნა და მათი მოვლა – მოყვანის და სასურსათოდ და საკვებად გადამუშავების აგროტექნოლოგიების დამუშავება; უახლესი აგრარული ნანო, ბიო და საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოში ადაპტაცია; საქართველოში სურსათისა და საკვებისა უვრცელობისა და ხარისხის საკანონმდებლობასთან პარმონიზაცია (არის საქართველოს კანონმდებლობასთან პარმონიზაციის კანონის მიერ);**

ველოს 5 ახალი კანონპროექტის და 2 ტექნიკური რეგლამენტის თანაავტორი); ელექტრონული საინფორმაციო ბანკების შექმნა.

ძირითადი სფეროები წლების განმავლობაში იყო სოფლის მეურნეობის მდგრადი აგროტექნოლოგიური განვითარება და ამ მიზნით CGIAR-ის სისტემის საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა. წლების მანძილზე იყო IPGRI-სა და ICARDA-ს წარმომადგენელი და EFITA-ს და ECP/GR-ის 3 მუშა ჯგუფის კოორდინატორი საქართველოში.

აკად. ავთანდილ კორახაშვილს ეკუთვნის 200-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, 4 მონოგრაფია, 14 სახელმძღვანელო (მ.შ. 3 თანავტორობით შექმნილი), 8 მეთოდური მითითება, 2 პატენტი (მ.შ. 1 როგორც თანაავტორს), 77 სტატია რეფერირებად სამეცნიერო უურნალებში, 13 გამოგონება (მ.შ. 10 როგორც თანავტორს). არის საქართველოს 5 ადაპტირებული კანონის, სოფლის მეურნეობის 3 ეროვნული სტრატეგიისა და კონცეფციის, საქართველოს მეცნიერების განვითარების სტრატეგიის ავტორი და თანაავტორი. სხვადასხვა დროს მისი სტატიები გამოქვეყნდა სამეცნიერო-პოპულარულ უურნალებში – 27, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ბიულეტენებში 48. შექმნილი აქვს ინგლისურ-რუსულ-ქართული გლოსარიუმი საკვებწარმოებაში, ქართულ - ინგლისურ - რუსულ-გერმანულ-ფრანგულ-ესპანური (ექვსენოვანი) აგრარული ლექსიკონი, კომპიუტერული პროგრამა და მრავალი სტატია ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში საზღვარგარეთის 30-ზე მეტ ქვეყანაში: უნგრეთი, პორტუგალია, შვეიცარია, იორდანია, სირია, უზბეკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სერბია, ტაილანდი, გერმანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუსეთი, ავსტრია, მაკედონია, საფრანგეთი, პოლონეთი, უკრაინა, აშშ,

ისრაელი, ინგლისი, ყაზახეთი, ებანეთი, იტალია, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.

აკადემიკოს ავთანდილ კორახაშვილს შესრულებული აქვს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული შემდეგი საგრანტო პროექტები:

▲ აგრარული ნანოტექნოლოგიების საქართველოში ადაპტაცია. მერილენდის უნივერსიტეტი და მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, პროექტის ხელმძღვანელი, 2016;

▲ საქართველოში გადასამუშავებელი სანარმოების ინფრასტრუქტურის შექმნა. UNIDO-ს პროექტი. პროექტის კოორდინატორი, 2015;

▲ სამაგისტრო პროგრამები გამოყენებით ბიომეცნიერებებში. სექტორის ხელმძღვანელი, TEMPUS-TACIS, 2011;

▲ პარკოსანი კულტურების რეგენერაცია საქართველოში. EU-ის პროექტი, ხელმძღვანელი, 2010;

▲ პროფესიული განათლების სტანდარტების დამუშავება. ჯგუფის ხელმძღვანელი, 2009;

▲ სტაციონალური ცდების რეაბილიტაცია საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. USDA, 2008, პროექტის კოორდინატორი;

▲ ახალი საერთაშორისო ტიპის კურიკულუმების განვითარება საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. USDA, 2007, პროექტის ხელმძღვანელი,

▲ აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში. TEMPUS, 2006, საერთო კოორდინატორი;

▲ ეტიკეტირება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებით. WL-USAID, 2005, ხელმძღვანელი;

▲ არაგვის ხეობის რეაბილიტაცია. საერთაშორისო ფონდი "Horizon", 2004, სექტორის ხელმძღვანელი;

▲ საგამომცემლო საქმიანობა. DAI-USAID, 2003, პროექტის ხელმძღვანელი;

▲ სამარცვლე პარკოსნების რეაბილიტაცია საქართველოში. WB, 2001, პროექტის ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი ავთანდილ კორახაშვილი არის 36 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის და 17 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, 48 სადისერტაციო ნაშრომის ოპონენტი; მიღებული აქვს საქართველოს „წლის ინჟინრის“ საპატიო წლდება, აგრეთვე სახელმწიფო და საერთაშორისო ჯილდოები: UNESCO-ს კონფუციის ოქროს მედალი, მალაიზიის HACCP-ის ოქროს მედალი და სხვ.



აკადემიკოს თეგზიზ ურუაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო ნიადაგმცოდნეობა.

თენგიზ ურუაძე არის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი და სრული პროფესიონალი. 1988-2013 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეპონდენტი. 2013 წელს არჩეულ იქნა აკადემიკოსად.

მინიჭებული აქვს სომხეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საპატიო პროფესიონალი (2001), ამავე აკადემიის საპატიო დოქტორობა (2005) და აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის საპატიო დოქტორობა (2007); აგრეთვე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსობა (2015).

2005 წელს არჩეულ იქნა ბარსელონის მეცნიერების და ხელმძღვანების სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2007 წელს კატალონიის მეცნიერების აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1982 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს ნიადაგმცოდნეთა საზოგადოებას, სადაც ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები. 2016-2017 წლებში ჩატარებული კონფერენციები მიეძღვნა პროფ. ნ. ტარასაშვილის, პროფ. ს. ზონის და აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. დარასელიას ხსოვნას.

2016 წელს თენგიზ ურუშაძე არჩეულ იქნა ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო კავშირის საპატიო წევრად.

წლების მანძილზე იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ნიადაგების გეოგრაფიის კათედრების გამგე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 8 სადოქტორო და 30 საკანდიდატო დისერტაცია. ამჟამად არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი. 2009 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით ამ კომისიის და სპეციალისტების ფართო წრების მიერ მომზადდა „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია“ (2009 წ.) და „საქართველოს ნიადაგების ეროზისგან დაცვა“ (2011 წ.). ამათგან პირველში განხილულია ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპები, გლობალური და ეროვნული ეკოლოგიური პროდუქტები, სტიქიურ-კატასტროფული მოვლენები, მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხი და სხვა, ხოლო მეორეში – ნიადაგის ეროზის ძირითადი სახეები და გამომწვევი ფაქტორები, ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებები, აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები, ეროზის საწინააღმდეგო პირველი კავშირი ურუშაძემა კულტივიზმა თენგიზ ურუშაძის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა საქართველოს ნიადაგების რუკა მასშტაბში 1 : 500 000. მასში ნიადაგები პირველად იყო მოცემული როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კლასიფიკაციით. რუკის 6 წამყვან ავტორს, ხელმძღვანელის

ჩათვლით, 2002 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.

თენგიზ ურუშაძის ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნებული შრომების სია 420-ზე მეტ ერთეულს შეიცავს. მარტო 1988 წლიდან გამოქვეყნებული აქვს 280-ზე მეტი ნაშრომი მ. შ. 28 მონოგრაფია და სახელმძღვანელო.

მეცნიერის კველევის სფეროს წარმოადგენდა სამთო ნიადაგმცოდნეობა, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. 1989 წელს მოსკოვში გამოსული მისი მოცულობითი ნაშრომი „სსრკ მთის ნიადაგები“ ამ თემაზე გამოცემულ ერთადერთ მონოგრაფიად დარჩა. მასში განხილული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მთის რეგიონების (აღმოსავლეთი კარპატების, კოდრების, ყირიმის მთების, კავკასიის, შუა აზიის და ყაზახეთის, ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის და პოლარეთის) ნიადაგური საფარი.

შემდგომში თენგიზ ურუშაძემ ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან თანაავტორობით არაერთი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, მონოგრაფია და სხვა სახის ნაშრომი გამოსცა. მათ შორის:

▲ „ეკოლოგიური სამართალი“ (სახელმძღვანელო) – ქართულ ენაზე პირველად შექმნილი ეს სახელმძღვანელო, 4-ჯერ (1996, 1999, 2003 და 2009 წლებში) გამოიცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

▲ „საქართველოს ანდოსოლები“ (მონოგრაფია) – თსუ 2009. ნაშრომი ეხება თენგიზ ურუშაძის ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად გამოყოფილ და შესწავლილ ახალ ნიადაგებს – ანდოსოლებს.

▲ „ნიადაგის მორფოლოგია“ (სახელმძღვანელო) – თსუ 2010. მერილენდის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესიონალურ-ემერიტუსის რიჩარდ ა. ვეისმილერის რედაქციით.

▲ „ნიადაგების გეოგრაფია ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები“ (სახელმძღვანელო) – თსუ 2011. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრ ავსტრიელ პროფესორ ვინფრიდ ბლუმთან ერთად.

▲ „გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები“ – თსუ 2011.

▲ „ნიადაგმცოდნეობა“ (სახელმძღვანელო) – 2011. გამოიცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

▲ „პრაქტიკუმი ნიადაგმცოდნეობაში“ (სახელმძღვანელო) – თსუ 2011.

▲ „100+ კიოთხვა-პასუხი გამოყენებით ეკოლოგიაში“ – თსუ 2011. წიგნის სხვადასხვაქვეყნელ ავტორთა რიცხვი 87-ს შეადგენს.

▲ „საქართველოს ნიადაგების საკვევი“ (სახელმძღვანელო) – 2014. წიგნში ქვეყნის ნიადაგების დახასიათება მოცემული იყო უახლესი გამოკვლევების საფუძვლზე

▲ „ფერდობის ჩამონადენის ტალღური მოძრაობა და ნიადაგ-გრუნტების ეროზის ინტენსიობა“ (მონოგრაფია) – 2014. აქად. ო. ნათიშვილის ხელმძღვანელობით და პროფ. გ. გავარდაშვილის თანაავტორობით მომზადებული ეს ნაშრომი გამოიცა მოსკოვში.

▲ „საქართველოს ნიადაგები“ (მონოგრაფია) – ნიუ იორკი 2014. პირველი ნაშრომი პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების ნიადაგებზე, რომელიც დასავლეთში გამოქვეყნდა.

▲ „მიწის კადასტრი“ (სახელმძღვანელო) – 2015.

▲ „ნიადაგების გზამკვლევი“ და „საქართველოს ნიადაგები“ – 2015. (ქართულ და ინგლისურ ენებზე). გამოიცა ნიადაგების საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა და გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივით.

▲ „საველე ნიადაგმცოდნეობა“ (მონოგრაფია) – 2016. აკად. თენგიზ ურუშაძის და აკად. გორგი კვესიტაძის რედაქტო-

რობით გამოცემული წიგნის ავტორთა რიცხვი შეადგენს 21 მეცნიერს.

▲ „სიამაყე და ტკვილი“ (აკად. თ. სადუნიშვილთან ერთად). პუბლიცისტურ ნაშრომში განხილულია ნიადაგის, როგორც ქვეყნის ბუნების გამორჩეული განძის, საამაყო და ტრაგიკული მხარეები.

თენგიზ ურუშაძის აქტივობის ნიადაგმცოდნეობის ხაზით ზოგიერთი მასობრივი წამოწყების ორგანიზება, კერძოდ: აგრარულ უნივერსიტეტში ყოველთვიური საველე სკოლისა – 2013 წლიდან; სტუდენტთა ყოველწლიური რესპუბლიკური ოლიმპიადისა – 2015 წლიდან; საშუალო სკოლის მოსწავლეთა ოლიმპიადისა – 2016 წლიდან (ამ უკანასკნელს მაღალი შეფასება მისცა ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო კავშირმა); 2 საერთაშორისო საველე კონფერენციისა (ნიადაგების საერთაშორისო კლასიფიკაციის ხაზით) – 1999 და 2013 წლებში. ნიადაგების ახალი საერთაშორისო კლასიფიკაციის დამუშავება ხდება ფასს „ქლოგის ქვეშ“. რამდენიმე ხნის წინ რომში გამოიცა ახალი კლასიფიკაციის მესამე ვერსია. მოიპოვა რა ამ ლიმიტირებული ცნობარის საქართველოში გამოცემის უფლება, მისი ხელმძღვანელობით ქართულად ითარგმნა და 2017 წელს გამოიცა კაპიტალური ნაშრომი „მსოფლიო საცნობარო ბაზა ნიადაგების რესურსებისათვის 2014“.

2003 წელს თენგიზ ურუშაძემ თბილისში დაარსა საერთაშორისო უურნალი „აგრარულ მეცნიერებათა მატიანე“ და დღესაც მისი მთავარი რედაქტორია. უურნალს ჰყავს ასოცირებული რედაქტორიც (მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე): პროფ. პიდაკა (იაპონია) და მთავარი რედაქტორის კიდევ 5 უცხოელი მოადგილე. სარედაქციო საბჭო წარმოდგენილია 47 მეცნიერით 14 ქვეყნიდან. შთამბეჭდავია რეცენზიერების რიცხვიც: 166 მეცნიერი 28 ქვეყნიდან. დღემდე გამოიცა უურნალის 55

წომერი, რომლებშიც განთავსდა 1584 სტატია აგრარული მეცნიერების, ბიოქიმიის, ბიოტექნიკოგიის, გარემოს დაცვის, მეტყევეობის, ეკონომიკის და სხვა საკითხებზე. ფარული კონკურსის შედეგად, უურნალი ჯერ საქართველოს 65 უურნალიდან 8 საუკეთესოს შორის მოხვდა, ხოლო შემდეგ „ელსევიერში“ დაიკავა საპატიო ადგილი (ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომებთან ერთად). „ელსევიერი“ წარმოადგენს გლობალურ საინფორმაციო ანალიტიკურ კომპანიას მეცნიერების, ჯანმრთელობის და ტექნოლოგიების დარგში. საკმარისია აღინიშნოს რომ ყოველწლიურად კომპანია „პატრონბს“ 2 500 უურნალს და 3 200 წიგნს. მთელ კავკასიაში „ელსევიერის“ მიერალიარებულია მხოლოდ 2 სამეცნიერო უურნალი საქართველოდან და ერთ-ერთია „აგრარულ მეცნიერებათა მატიანე“. ამ წარმატებამ ხელი შუწყო ქართველი მეცნიერების ავტორიტეტის ზრდას. ერთი წლის მანძილზე უურნალში გამოქვეყნებული სტატიების 35 ავტორმა მიიღო შემოთავაზება მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესების მუშაობაში. ამის გარდა, 12 ავტორმა მიიღო ცნობილი გამომცემლობის „ლამბერდის“ შეთავაზება წარმოდგენილი კვლევების გაფართოვების და ცალკე მონოგრაფიად გამოცემის შესახებ.

თენგიზ ურუშაძე არის რიგი ქართული და უცხოური გამოცემის რედაქტორების წევრი. იბეჭდებოდა მაღალრეიტინგულ უურნალებში. ყოფილა საერთაშორისო ყრილობების მონაწილეც და მომხსენებელიც. აქვს საქმაოდ მაღალი ციტირების და H-ინდექსები Scopus და Google Scholar-ის მიხედვით. მათ შორის ციტირება Scopus-ით 18, ხოლო Google Scholar-ით 197; H-ინდექსი Scopus-ით 2, ხოლო Google Scholar-ით 5.

2011 წელს მეცნიერი აირჩიეს იუნისკოს პროგრამის „ადამიანი

და ბიოსფერო“ (მაბ) საქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტად; სხვადასხვა დროს იყო 15 გრანტის (მ. შ. უცხოურის), ხელმძღვანელიც თანახელმძღვანელიც და თანამონაწილეც. ამჟამად უძღვება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტურ გრანტს.

❖

აკადემიის წევრ-კორესპონდენტ აღესანდრე ლილებულიძეს სამეცნიერო ინტერესების სფეროა ელექტრომექანიკის და სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის მიმართულებები. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1974 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი), იყო უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი და 1989 წლიდან 2006 წლამდე კათედრის გამგე, 2006-2012 წლებში იყო სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, აგრძელებს ლექსიების კითხვას და დოქტორანტების მომზადებას აგრარულ უნივერსიტეტში. პარალელურად 1982-2004 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტშის სამთო მიწამოქმედების ინსტიტუტის განყოფილების უფროსად. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სასოფლო-სამეურნეო მობილური აგრეგატებისათვის განკუთვნილი სისტერით მართვადი ასინქრონული ელექტრომძრავი“, ხოლო 1991 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სპეციალური ელექტრიფიცირებული სატრანსპორტო-ტექნიკოლოგიური სისტემები“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია 1995 წლიდან, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 1997 წლიდან.

კვლევით მუშაობას ატარებდა შემდეგი მიმართულებებით:

1. ელექტრომექანიკა და სოფლის მეურნეობის ელექტრიფი-

კაცია. აქ მისი მონაწილეობით შექმნილია:

▲ კუთხით-რხევითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორების და ვიბროძრავების, აგრეთვე ამ ვიბრატორებით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების რამდენიმე კონსტრუქცია, რომელთა პრიორიტეტი დაცულია სსრკ 4 საავტორო მოწმობით, საქართველოს 6 პატენტით და 11 ქვეყნის 19 პატენტით. ვიბრატორები ექსპონირებული იყო ლაიპციგის, ბუდაპეშტის, ბუქარესტის გამოფენებზე;

▲ უკუქცევით-წინსვლითი ელექტრომაგნიტური რეზონანსული ვიბრატორი, რომლის პრიორიტეტი დაცულია სსრკ 3 საავტორო მოწმობით და საქართველოს 4 პატენტით. ასეთი ვიბრატორი ხასიათდება ძალზე მცირე ენერგომოხმარებით – ძირითადად, მხოლოდ დანაკარგების დასაფარად.

2. სამთო საკუებნარმოება. ამ მიმართულებით შექმნილია და საცდელი სერიის სახით გამოშვებულია ფერდობებიდან თივის პნევსატრანსპორტო ელექტრიფიცირებული აგრეგატი, რომლის მეშვეობით ხდებოდა თივის დაწნევილი საცობების სახით ტრანსპორტირება. პრიორიტეტი დაცულია სსრკ 3 საავტორო მოწმობით; აგრეგატი ექსპონირებული იქნა მოსკოვის, ბუქარესტის, ხოშმინის გამოფენებზე. ასევე დამზადებული იქნა ელექტრიფიცირებული ხელის და თვითმავალი სათიბელები, მიკროსასხურებელი (დაცულია ერთი საავტორო მოწმობით).

3. ხიდური მიწათმოქმედების. ამ ხაზით შეიქმნა ელექტრიფიცირებული ხიდური აგრეგატი ვაზის სანერგებისათვის, პომიდვრის, ყვავილების და ჩაის პლანტაციებისთვის, რომლის ელექტროამძრავი მუშაობდა ელექტრული ლილვის სქემით; რუსთავის ამნეების ქარხანაში დამზადებული აგრეგატი 1989-1991 წლებში ასრულებდა ტექნოლოგიურ ოპერატორის ქანდის (მცხეთის მუნიციპალიტეტი)

მეურნეობაში. აგრეგატის გამოყენებით მოხერხდა მცენარეთა დაზიანების მკვეთრი შემცირება, მოსავლიანობის გაზრდა და ენერგიის ეკონომია; პრიორიტეტი დაცულია სსრკ ერთი საავტორო მოწმობით.

სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობას ატარებდა, როგორც აგრარული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (2008-2011 წწ), საქართველოს იუნისეკოს ეროვნული კომისიის წევრი (1996-2008 წწ), საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1997-2002 წწ), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე (2004-2007 წწ); როგორც სამინისტროს საპარალამენტო მდივანმა პარლამენტის სხდომებზე გაიტანა განათლების და მეცნიერების რეფორმების ამსახველი 5 კანონპროექტი.

ამჟამად არის აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ინოვაციების და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის სწავლული მდივანი.

მონაწილეობდა რამდენიმე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დიკუმენტის დამუშავებაში. მ.შ. იყო:

▲ სასოფლო-სამეურნეო კვლევის, განათლების და დანერგვა-კონსულტირების სისტემის ეროვნული სტრატეგიის კონცეფცია (მსოფლიო ბანკის პროექტი, (1998);

▲ მომთაბარე მეცხოველეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული წინადადებები (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, (1999);

▲ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესტრუქტურიზაცია და სტრატეგია (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი, (2003);

▲ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული გეგმა (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და

საქართველოს შეფასების ასოციაციის პროექტი, (2009);

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე დიდებულიძე იყო საქართველოს ბიბლიოთეკების განვითარების ფონდის თავმჯდომარე (1995-1997 წწ). მონაწილეობდა აშშ მეგობრობის ფონდიდან (AFF) მიღებული 30 ათასზე მეტი ინგლისურენოვანი, ძირითადად სამეცნიერო ხასიათის, წიგნის ეროვნული, აკადემიის, თსუ-ს და სხვა ბიბლიოთეკებისთვის გადაცემაში.

გამოქვეყნებული აქვს 180-მდე სამეცნიერო ნაშრომი მ.შ. 13 მონოგრაფია და სახელმძღვანელო, მიღებული აქვს 16 ქვეყნის 42 პატენტი; მისი ხელმძღვანელობით დაცულია 1 სადოქტორო, და 6 საკანდიდატო/აკადემიური სადოქტორო დისერტაცია, მომზადებულია 10 მაგისტრი. ხელმძღვანელობდა ან მონაწილეობდა 18 საერთაშორისო და 2 საქართველოს საგრანტო პროექტის შესრულებაში. ამჟამად ხელმძღვანელობს გერმანიის ფოლქსვაგენის ფონდის პროექტის N 88504 (გერმანია-საქართველო-აზერბაიჯანი, 2015-2018 წწ, 510 ათასი ევრო) საქართველოს ჯგუფს.



აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ვანო პაპუნიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ბოტანიკა, ეკოლოგია, სატყეო საქმე და სხვ.

2009 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი. 2016 წელს მისი მთავარი რედაქტორობით გამოვიდა ამ სამეცნიერო ცენტრის გამოცემა „შრომების“ პირველი ნომერი.

1965 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტი საინჟინრო განხერით;

1990 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

1992 წლიდან – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის სრული პროფესორი და უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

2001 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვანო პაპუნიძე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დირექტორის მოადგილედ, სამეცნიერო მუშაობის დარგში და ხელმძღვანელობდა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამეცნიერო განყოფილებას. ამ პერიოდში მან საფუძველი ჩაუყარა კაპიტალურ გამოკვლევებს ტყის მეურნეობისა და დეკორატიული მებაღეობისათვის ძვირფასი სწრაფმზარდი ეგზოტების ბიოლოგიური თავისებურებების და სეზონური განვითარების რიტმის შესწავლას, აჭარის ტყის ეკოსისტემების ანთროპოგენურ ცვლილებათა და მათი პროდუქტიულობის ამაღლების ეკოლოგიური საფუძვლების შემუშავებას, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ინტროდუქციის შედეგების ანალიზს, აჭარის მცენარეული რესურსების და ეკოლოგიური პოტენციალის ტრანსფორმაციას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განითარებასთან დაკავშირებით, აჭარის ზღვისპირეთში სუბტროპიკულ და ტროპიკულ მცენარეთა ინტროდუქციის კანონმიტებებს, მცენარეთა ინტროდუქციის ეკოფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლას და სხვ.

სხვადასხვა დროს აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვანო პაპუნიძე არჩეული იყო არაერთი საზოგადოების და ასოციაციის წევრად. კერძოდ:

იუნესკოს პროგრამის – „ადამიანი და ბიოსფერო“-ს საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრად; (1978);

სსრკ-ის მეცნიერებათ აკადემიის „მეტყევეობის პრობლემების“ საბჭოს წევრად (1983);

საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების წევრად და საზოგადოების აჭარის განყოფილების ხელმძღვანელად (1999);

საქართველოს ბოტანიკური ბაღებისა და პარკების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად (1999);

2013 წლიდან არის აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს აგრარული სექტორის განვითარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი.

გამოქვეყნებული აქვს 98 სამეცნიერო ნაშრომი მ.შ. 10 მონოგრაფია. კვლევები ძირითადად ეხება ბუნებრივი და ინტროდუცირებული მერქნიანი მცენარეულობის ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლას, გარემო ფაქტორების ზემოქმედებასთან შეგუების, ტყის მეურნეობისა და მწვანე მშენებლობისათვის ინტროდუციენტების შერჩევასა და პრაქტიკაში მათი დანერგვის საკითხებს. ქვემომოხმობილი გამოქვეყნებები და გამოცემები არის მისი ბოლოდროინდელი სამეცნიერო ნაშრომების მხოლოდ ერთი ნაწილი:

▲ „აქტინიდიის (კივის), აკაციის, ციტრუსების სარგავი მასალის გამოყვანის და პლანტაციების გაშენების აგროტენიკური წესები“. 2004.

▲ „მცენარე ჯანმრთელი გარემოსათვის“. 2005. (გ. ხატისაშვილის და თ. სადუნიშვილის თაანაავტორობით).

▲ „Роль ботанических садов в охране окружающей среды“. 2006.

▲ „Деревья и кустарники Батумского ботанического сада (Покрытосемянные) часть II“. 2007. (17 თანაავტორთან ერთად).

▲ „ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო“. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა ტ. 1. (უძველესი დროიდან ა.ხ. ნ. მე-5 საუკუნემდე). ბათუმი 2007 წ., გვ.10-20.

▲ „აგრარულ სექტორში ავამოქმედოთ საპაზრო მექანიზმი“. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო

სექტორში. 2007. (ო. ვაშაკიძის თანაავტორობით).

▲ „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება აუცილებელია“. – 2007. (მ. პაპუნიძის თანაავტორობით).

▲ «особенности адаптации видов семейства гамамелисовых (*Hamamelidaceae*) интродуцированных в батумском ботаническом саду». Теоретические и прикладные аспекты интродукции растений как перспективного направления развития науки и народного хозяйства. 2007.

▲ „Вопросы физиологии адаптации интродуцированных растений в условиях черноморского побережья Аджарии“. Теоретические и прикладные аспекты интродукции растений как перспективного направления развития науки и народного хозяйства. 2007 გ. (მ. მეტრეველის და მ. ბრეგვაძის თანაავტორობით).

▲ „საქართველოს ზღვისპიროთში ინტროდუცირებულ მცენარეთა შეგუების ეკო-ფიზიოლოგიური თავისებურებები და ცვალებადობის კანონზომიერება“. 2016.

ვანო პაპუნიძე ენევა ფართო პედაგოგიურ და აღმზრდელობით მოღვაწეობას, წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიდი ჯიხაიშისა და ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში, ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიურ ინსტიტუტში, სულ 20-ზე მეტი დასახელების საგანში.

არც საზოგადოებრივი საქმიანობაა მისთვის უცხო. 2008 წლიდან ხელმძღვანელობს, სახალხო დიპლომატის კუთხით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა დარეგულირების მიზნით შექმნილ საინიაციატივო ჯგუფს, ანუყობს მოპაჭირობის დროს აჭარაში ჩასახლებულ აფხაზთა მონანილეობით სამეცნიერო კონფერენციებს, ფორუმებს, შეხვედრებს, რაც სწორედ რომ მადლიანი და საშუალო საქმეა.


დ ა გ ვ ი ა ნ ე ბ ი თ ა ლ ი ა რ ი ა ბ უ ლ ე ბ ი თ

ალექსანდრე მანველიშვილი (1904-1997), გარდახვეწილი (ემიგრანტი) ქართველი ეროვნული მოღვაწე, დაიბადა სამცხეში, სოფ. ვალეში, ზეშთაეპითი (კათოლიკური) საარჩმუნოების მიმდევარი შეძლებული გლეხის მრავალშვილიან ოჯახში. მის მშობლებს 13 ქალ-ვაჟი ჰყავდათ. პირველდაწყებითი განათლება სოფ. ვალეს სამწლიან სახელმწიფო სასწავლებელში მიიღო. 1924 წელს წარმატებით დაამთავრა ახალციხის საშუალო საგანათლებო (სკოლა). ნიჭიერ ახალგაზრდას მიეცა ერთადერთი ფასდახმარება (სტიპენდია), რომელიც იმ ხანად ახალციხეს გამოეყო. სწავლა თბილისის გულედურ (ცენტრალურ), სამწლიან მასწავლებელთა (პედაგოგიურ) განდარგებაში (ინსტიტუტში) დაიწყო, ხოლო მისი დახურვის შემდეგ ნაირსასიპრძნოს (უნივერსიტეტის) მასწავლებელთა განშტოებაზე (ფაკულტეტზე) გააგრძელა ენისა და წერილობის (ლიტერატურის) განხრით. სამუშაოდ ახალციხეშივე დააბრუნეს, იმავე საგანათლებოში, რომელიც დაამთავრა. როგორც მასწავლებელმა მალე გაითქვა სახელი. ლამის გათურქებულ სამცხეს ქართული „სისხლის“ გადასხმა სჭირდებოდა და ამ საქმეს მან და მისმა თანატოლებმა მოკიდეს ხელი. მათი მოღვაწეობა სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა საქართველოს მეტდამჯგუფეობითი (ბოლშევიკური) ხელისუფლებისთვის, რომელსაც საქართველოს მინა-წყალი ფეხებზე ეკიდა. საქართველოს ძალად გასაბჭოების შემდეგ უგვარჯილაგო მეტდამჯგუფებმა (ბოლშევიკებმა) გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩაიდინეს ბოროტება, რომლის მსგავსიც ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიო ნამყოებაში (ისტორიაში). ეს იყო ჯერ ყარსის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და მერე ლორესა და ტაშირის სომხებისთვის და საინგილოს ანუ ჰერეთის ნაწილის აზერბეიჯანისთვის გადაცემა (ჩუქება). ალექსანდრე მანველიშვილმა ნათლად გადმოგვცა ამ მოვლენის მთელი დამლუპველობა. მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით, მანამდე კი ახლგაზრდა მასწავლებელმა ყოველმხრივ მოჯარულ საფრთხეთა გამო სამშობლო დატოვა და თავი უცხოეს შეაფარა. არსებობს ლტოლვილი ქართველი მექმის (ავტორის) სანდრო ფანჩულიძის ცნობა, რომლის მიხედვითაც 1929 წლის სექტემბერში საქართველო-თურქეთის საზღვარი ფარულად გადაღახა 11 ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა: „ნიკო (ინდო) ინასარიძემ, ნინო ინასარიძემ, სერგო ინასარიძემ, თამარ კობიძემ, ალექსანდრე მანველიშვილმა, სამა გელოვანმა, ამბროსი ჩხოტუამ, შალიკო ცაგურიამ, ნიკო ყურულიშვილმა, დავით ყურულიშვილმა, ალექსანდრე (ფანჩულიძემ) ახალციხიდან გადავლახეთ საქართველოს საზღვარი და ფეხით ჩავედით ჩარსში, მატარებლით არზრუმამდე, ავტომობილით

ტრაპიზონამდე და გემით ისტანბულამდე. ისტანბულში ერთმანეთს დავცილდით და ჯგუფ-ჯგუფად ჩავედით საფრანგეთში, სადაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა იყო გადახვეწილი ნოე უორდანიას მეთაურობით.“ (ალექსანდრე ფანჩულიძე: წერილი რედაქციას. გაზიერები: სამშობლო. 3-6.05.1992. გვ. 3.).

თურქეთიდან საფრანგეთში გემით ჩასული ალექსანდრე მანველიშვილი ვალენტინე-ბოლიოში დაბინავდა და მუშაობა პეჟოს სამარბოლო (საავტომობილო) ქარხანაში დაიწყო. პეჟოს და რენოს სამარბოლო ქარხნები აღმოჩნდა მთავარი საარსებო საყრდენი საფრანგეთში მყოფი ქართველი გარდახვეწილების უმტესობისთვის. განურჩევლად, წარმოშობისა, მუშა იყო ის გლეხი თუ თავადი. საერთოდ ქართული გარდახვეწილობა (ემიგრაცია) უცხოეთში დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა და როგორც უხერხდებოდა, ისე გაპქონდა თავი. ამ მდგომარეობაში იყო ალექსანდრე მანველიშვილიც – თან საარსებო კნინდენის (მინიმუმის) გამომუშავებას ცდილობდა და თან თვითგანათლებით იყო დაკავებული – თავაუღებლად მუშაობდა პარიზის ეროვნულ ნიგნაცავში. გამსწვრივად (პარალელურად) სორბონის ნაირსასიპრძნოში ისმენდა ზეპირთხობებს (ლექციებს). მიზანგათვლით ზოლფერადში (პოლიტიკურ სპექტრში), რომელიც ერთის მხრივ მეტდამჯგუფებასთან (ბოლშევიზმთან) სასიკვდილო ბრძოლაში, მეორე მხრივ კი ერთმანეთთან ასევე სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში იყო ჩაბმული, მან „თეთრი გიორგი“ გამოარჩია. მიზანგათვლითი სხემონქობა (პოლიტიკური ორგანიზაცია) „ეროვნული ერთობის დარაზმულობა თეთრი გიორგი“ 1924-1926 წლებში ჩამოყალიბდა, როგორც მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება ყოველივე საყოველთაოსთან (სოციალისტურთან), უპირველეს ყოვლისა კი დამოუკიდებელი საქართველოს გარდახვეწილ (ემიგრირებულ) ხელისუფლებასთან. ეს მოხდა საქართველოში 1924 წლის ხვატობის (აგვისტოს) ამბოხების დამარცხების და ქაქუცა ჩილოყამვილის და მისი რაზმელების საფრანგეთში გახიზვნის შემდეგ. პირველი კრება, რომელიც სულ ხუთ ადამიანს ითვლიდა, შედგა 1924 წლის მწიფობაში (სექტემბერში) თავდაპირველად სხემონქობას „მომავალი“ ენოდა, შემდეგ მას, ქაქუცა ჩილოყამვილის წინადადებით, „თეთრი გიორგი“ დაერქვა. 25.08.1926 წელს გამოვიდა მაცნე (გაზეთ) „თეთრი გიორგის“ პირველი გამრიგი (ნომერი)...

ალექსანდრე მანველიშვილმა თავიდანვე მიიპყრო სხემონქობის ხელმძღვანელების ლეო კერესელიძის და მიხეილ წერეთლის ყურადღება. დაიწყო



მაცნეში წერილების ბეჭდვა და, როგორც თეთრგიორგელი, მალე მოწინავე **გურდიშვილი** (პოზიციაზე) გავიდა. ერთხანს, მიხეილ წერეთლის ბრიუსელისა და ბერლინის **ნაირსასიბრძნოებში** მიწვევის შემდეგ, **მაცნის** მთელ მუშაობას ის წარმართავდა. იმავდროულად ითვლებოდა ლეო კერესელიძის მოადგილედაც. ერთობა და მშვიდობა დარაზმულობაში დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც ყველა მნიშვნელოვან ეროვნულ წამოწებაში, ქართველები ეშმაკმა არც აქ მოასვენა. გაჭიანურებული კამათისა და დაპირისპირების შემდეგ ალექსანდრე მანველიშვილი და მისი რამდენიმე მომხრე „თეთრ გიორგის“ გამოეყო და პარიზში ახალი, **სხემოწყობითად** (ორგანიზაციულად) სხვა, მაგრამ მსოფლმხედველობრივად მონათესავე **მაცნე „მომავალი“** დააფუძნა (გამოდიოდა 1934-1938 წლებში)...

ომის წლები მანველიშვილმა გერმანიაში დაჰყო. რაიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა მას არ სჭერია, მაგრამ თანამემულეთა გვერდით ქართული საქმისთვის ქმედითად იღწვოდა. იმ ხანად არაერთი მისი საჭირბოროტო წერილი დაიბეჭდა გერმანიაში გამომავალ ქართულ ბეჭდვით გამოცემებში. 1944 წელს ბერლინიდან პარიზში დაბრუნდა. 1953-1958 წლებში გამოსცემდა ქართულენოვან **მოამბე** (უურნალ), „ერის დიდებას“. 1954-1956 წლებში, ვახტანგ ციციშვილთან ერთად, ფრანგულენოვან **მოამბე**, „აქსიონ უეორუსიენს“. 1958 წელს ალექსანდრე მანველიშვილი ევროპიდან ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. იმავე წელს დაქორწინდა და ოჯახურ უდელში შეება.

ამით ალექსანდრე მანველიშვილის **მიზანგათვლითი განვლილობა** (პოლიტიკური ბიოგრაფია) ამოიწურა.

დაინტერესი მისი, როგორც ქართველი მწერლის, **წერილობმცოდნის** (ლიტერატორის), მკველვარის, **ნამყობმცოდნის** (ისტორიკოსის) მოსავლის მოწევის ხანა. მისი დროში და სივრცეში გაბნეული ქართული (ძირითადად), ფრანგული, იტალიური თუ ინგლისური გამოქვეყნებები (პუბლიკაციები): სამეცნიერო შრომები, გამოკვლევები, ნარკოვები, წერილები, მიმოხილვები, გამოხმაურებები, უცხოური **ხმოვანგადაცემების** (რადიოსადგურების) ქართულ განყოფილებებში მუშაობის უამს გახმიანებულ გადაცემათა **დანაწერები** (ტექსტები), მის მიერვე სიცოცხლეში გამოცემულ წიგნებთან ერთად, ოდესმე ერთ მთლიან გამოცემაში მოიყრის თავს და მაშინ მკითხველი მიხვდება რა ლირებულების, რა მოცულობის, რა მრავალფეროვნების თავდადებული, დაუღალავი შრომა აქვს მათ შემქმნელს განეული ლტოლვილობაში, რა ცოდნით, რა განსწავლულობით, რა გონით, არსში წვდომის რაგვარი უნარით არის განხილული ყოველი მის მიერ წამოწეული საკითხი.

ალექსანდრე მანველიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ეკუთვნის ქართული **გარდახვენილობის** ოქროს სალაროს. მისი გამოცემა მომავლის საქმეა. აქ კი ჩვენ წინ წამოვწიეთ მისი ერთი გამოკვლევა „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“, ნარკევი მეტად საჭირბოროტო თავის დროზე, 1938 წელს, და კიდევ უფრო საჭირბოროტო დღეს, 2017 წელს, როდესაც არცერთმა სულიერმა საქართველოში არ იცის თუ სად გადის დღეს ჩვენი პირველდასაბამითი ქვეყნის საზღვრები, რადგან უკეთური, დამანგრეველი ძალები ყოველდღე გვპარავენ, გვტაცებენ, გვართმევენ ქართულ მინას საქართველოს **განაფენის** (ტერიტორიის) მთელ შემოხაზულობაზე. თავისი ღირსებებით ეს პატარა, სულ ოცი გვერდის მომცველი ნარკევი ქვეყანაში, სადაც საზღვრების საკითხს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე **აკრძალვა** (ტაბუ) ჰქონდა დადებული, თვით ივანე ჯავახიშვილის გზისგამკვლევი ნაშრომის „საქართველოს სამზღვრების“ (1919) და პავლე ინგოროვას ნათელხილული გამოკვლევის „გიორგი მერჩულის“ (1954) გვერდით იმსახურებს მოხსენიებას.

ნარკევი, ამოღებულია 1938 წელს პარიზში გამოცემული ალექსანდრე მანველიშვილის წიგნიდან **„საქართველოს საზღვრები“**. წიგნში შესულია აგრეთვე სხვა ორი წერილიც, რომელიც გარკვეულწილად ასევე საქართველოს საზღვრებს ეხება. წინამდებარე ნარკევმა განიცადა ოდნავი მართლწერითი ცვლილება. სხვადასხვა ადგილას მოცემული რამდენიმე განმარტება და შენიშვნა, ჩვენი გამოცემის თავისებურებიდან გამომდინარე, გადატანილ იქნა **დანაწერის** (ტექსტის) ბოლოში.

ენვერ ნიუარაძე



ალექსანდრე მანველიშვილი

საქართველოს ტერიტორია და საზღვრები

საქართველოს ტერიტორია ეთნოგრაფიულად და ეკონომიკურად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. ათასეულ წელთა განმავლობაში პრძოლებისა და თავდაცვის დროს გამოიკვეთა და განმტკიცდა ის გარკვეულ ბუნებრივ საზღვრებში. ეს იქამდე დამახასიათებელია საქართველოს ტერიტორიის, რომ თვით აღორძინებისა და ძლიერების ხანებშიც საქართველო დიდათ არ ყოფილა დაინტერესებული თავისი სამფლობელო ბუნებრივი საზღვრებისათვის

ისტორიულად საქართველოს უმთავრესი მტერი სამხრეთიდან ჰყავდა. ამიტომ ცვალებადობას უმთავრესად სამხრეთის საზღვრები განიცდიდნენ. უნდა ითქვა, რომ ღრმა ცვლილებანი მხოლოდ უკანასკნელ საუკუნებში მოხდა, ადრე კი, მართალია საქართველოს ხშირად განუცდია დაპყრობა, მაგრამ ეს ყოფილა მთლიანი და დამპყრობი მცერის ფარგლებში საქართველო ყოველთვის ახერხებდა თავისი ტერიტორია ბუნებრივ საზღვრებში შეენახა.

აღნიშნული ცვლილება იწყება მე-17 საუკუნის პირველი ნახევრითგან. როდესაც თურქე-

ბი იპყრობენ მესხეთს და ძალად ამაპმადიანებენ. მე-19 საუკუნის განმავლობაში რუსები ნელ-ნელა იბრუნებენ ოსმალებისაგან საქართველოს ტერიტორიებს და მიუახლოვდებიან ბუნებრივ საზღვრებს. 1918 წელს მკვდრეთით აღმდგარი საქართველო დაახლოებით აღნიშნულ საზღვრებში განახორციელებს თავის დამოუკიდებლობას. ხოლო 1921 წელს მოსკოვმა ოსმალებს გადაულოცა საქართველოს სამხრეთის პროვინციები: ფოცხოვის თემი (ახალციხის მაზრის ნაწილი), არტანის, ოლთისის და ართვინის მხარეები და ნაწილი ბათუმის მხარისაც.

საქართველოს ტერიტორია მოთავსებული ამიერ-კავკასიაში, სამი მხრით შემორტყმულია სიმაგრეებით. ხოლო მეოთხე, აღმოსავლეთით იხსნება აზერბეიჯანთან. ისტორიულად, აქ მოსახლე თათრის ტომები საქართველოს ვასალურ დამოკიდებლებაში იყვნენ ხოლმე. და მაშასადამე საქართველო აღმოსავლეთითაც თავის სტრატეგიულ ხაზს კასპიის ზღვით საზღვრავდა. ისტორიულად, ყველა დიდი ომების და შეთქმულებების გეგმები ამ პრინციპს ემყარებოდნენ.

ამგვარად:

1. საქართველოს ჩრდილოეთით აკრავს კავკასიის მთავარი ქედი მის უმაღლესი შტოებით.

2. სამხრეთით მას ზღუდავს თოვლიანი მთების მთელი სისტემა, ჩილდირის ტბიდან თორთუმ ბაიბურთის გაყოლებით, შავ ზღვამდე.

3. დასავლეთით არტყია შავი ზღვა – უგრძელესი ხაზით, ჩერქეზთიდან სამხრეთის საზღვრამდე.

4. აღმოსავლეთით საქართველო ეკვრის აზერბეიჯანის ველს, ხოლო აქაც ის გაიყოფა კავკასიის მთავარი მდინარით, მტკვრით და შესართავებით: ძეგამ-ალაზან-ქურმუხით.

ამ ბუნებრივ საზღვრებში მოთავსებული საქართველო ისეთი მთლიანობაა, რომ ყოველი უმ-

ნიშვნელო ნაწილის ჩამოცილება ასახიჩრებს მთლიან ორგანიზმს. ის არღვევს გეოგრაფიულად, აკოჭლებს ეკონომიკურად, აზიანებს სამხედრო თავდაცვის თვალსაზრისით და ასუსტებს პოლიტიკურად.

მთელ საქართველოს სერავენ სამი მთავარი მდინარის აუზები მათი შესართავებით: მტკვრის, ჭოროხისა და რიონის.

სამხრეთ საქართველო ანუ მესხეთი ერთის მხრით ჭოროხის ხეობით უკავშირდება დასავლეთ საქართველოს, მეორეს მხრით მტკვრის ხეობით აღმოსავლეთ საქართველოს და ასე გადაახვევს რა ხელს ორ დანარჩენ ძმას, ჰქმის მთლიან ჰარმონიას ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. აქეთგან ნათლათ სჩანს სამხრეთ საქართველოს უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს მეურნეობისა და მთლიანობისათვის, რაც ისტორიითაც დამტკიცებულია. საქართველოს პირველი გაერთიანება შესაძლებელი გახდა, მხოლოდ სამხრეთის სუვერენითა თანხმობით, ხოლო შემდეგ უმათოთ ეს შეუძლებელი შეიქნა მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში.

სამხრეთ საქართველოს მნიშვნელობა უფრო გაიზრდება თუ გავითვალისწინებთ მის როლს საერთო თავდაცვის საქმეში. საუკუნეთა განმავლობაში ის იყო ბარიერი გარეშე მტრის ერთადერთ მოსავალ გზაზედ ამიტომ იყო, რომ თურქების მიერ მე-17 საუკუნეში ამ კუთხის მოტაცების შემდეგ, საქართველო არა მარტო დასუსტდა, არამედ ის ორად გაყიდვილი, ბოლომდე ველარ ახერხებს გაერთიანებას. ამიერ და იმიერ ქართველობაში არა ერთხელ იფეთქა ეროვნულმა შეგნებამ, არა ერთხელ გამოითქვა სურვილი გაერთიანების. მე-18 საუკუნეში ქართველ მეფე-მთავრებმა სათანადო ხელშეკრულებასაც კი მოაწერეს ხელი, და ეს უნდა მომხდარიყო ისეთი დიდი ავტორიტეტის სკიპტრის ქვეშ, როგორიც იყო პატარა კახი, მაგრამ ჩევნი ღრმა

რწმენით, აღნიშნული მდგომარეობა და მისგან შექმნილი პოლიტიკური პირობები იყვნენ ერთადერთი მიზეზნი მთლიანობის განუხორციელებლობის. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას მოჰყვა ეკონომიკური დაცემაც. რადგან საქართველოს ყოველი კუთხე მეურნეობის თავისებურებით ხასიათდება და სამხრეთის სამუდამო მოწყვეტამ და აღმოსავლეთ დასავლეთის გაყრამ შექმნა გაფირვება და სიღატაკე. მე-18 საუკუნეში ეს იქამდე სინამდვილე იყო, რომ თვით ძლიერი ქართლ-კახეთის მეფე ირაკლიც, კერძო პირებისგანაც სესხულობდა ფულს. ამიტომ ყოველგვარ ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზას მოკლებული სახელმწიფო მხოლოდ სამხედრო ძალაზედ დამყარებით სულს ითქვამდა დროებით და მისი დაცემა გარდაუვალი იყო.

ამგვარად, საქართველოს თავისუფლებას აზრი დაეკარგა მას შემდეგ, რაც მისი პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა და ეკონომიკურად დაეცა, ხოლო ყოველივე ამის მიზეზი იყო მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

თვით მონლოლთა ბატონობის დროსაც, ვინაითგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეული არ იყო, მიუხედავად მისი მრავალგზის აოხრების, მოსახლეობა კიდევ აღნევდა 5-6 მილიონს და ნივთიერადაც ძლიერი იყო. ის ჯერ კიდევ არ ჰგავდა მე-17-18 საუკუნეების ირან-ოსმალეთის მეტოქეობის დროის საქართველოს.

გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური მთლიანობის, საქართველო ეთნოგრაფიულადაც ერთ მთლიანს წარმოადგენს, ასეთი მთლიანობა საქართველოს მსგავს პირობებში მყოფ არცერთ ერს არ დაუცავს, მისი მოსახლეობის 80 პროცენტს ქართველობა შეადგენს. ვერც მტერთა შემოსევებმა; ხოცა-ულეტამ, უამრავ უცხო ტომის ჩამოსახლებამ, სპარსეთის და უფრო რუსეთის

კოლონიალურმა პოლიტიკამ ვერ შესძლეს საქართველოს ეთნიური მთლიანობის დარღვევა.

ქართველობა გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო კულტურულად ყველა მეზობელ ხალხებზედ. ამან და ძლიერმა პატრიოტიზმა დაიცვა ის საბოლოო გათქვეფისაგან.

საზღვრები დეტალურად.

1. დასავლეთით – შავი ზღვა.

2. ჩრდილოეთით – კავკასიონის მთავარი ქედი; საზღვარი იწყება მდ. მაკოფსეს შესართავთან შავ ზღვასთან, იქ სადაც კავკასიონის ქედი უახლოვდება შავ ზღვას. ხაზი მისდევს მდ. მაკოფსეს – დიდ ფსეუშებოს მწვერვალამდე. შემდეგ მიჰყება მდინარეებს ტუაფსესა და აშეს წყალთ გამყოფ ხაზს და მიადგება კავკასიონის მთავარ ქედს გოიტიხის უღელტეხილიდან 20 კილომეტრზე სამხრეთ აღმოსავლეთით. აქეთგან მიჰყება მთავარ ქედს ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე. შემდეგ მიჰყება ყაზბეგის მთის სისტემას შავი კლდის მწვერვალამდე აქედან ხელმეორედ მიჰყება კავკასიის მთავარ ქედს 11389 ფუტის სიმაღლის მწვერვალამდე, რომელიც იმყოფება ზაქათალის ოლქის მიჯნაზედ. (მთა – „კარა კაია“).

3. აღმოსავლეთით – საზღვრის ხაზი დაშვებული ზემოხსენებული 11389 ფუტის სიმაღლის მწვერვალიდან კავკასიონის ქედისა, გაივლის შემდეგ მწვერვალებს: ქასაპს, უსახელო მწვერვალს 8568 ფუტის სიმაღლის, უსახელო მწვერვალს 3682 ფუტის სიმაღლის მდ. ყაშყაჩამდე, მწვერვალიდან 4 კილომეტრის მანძილზედ. ხაზი მიჰყება ამ მდინარეს სანამ შეერთვის მდინარე აგრინიას, შემდეგ გაივლის ბოზ-დალის მწვერვალს და მიდის მდ. მტკვრამდე მდ. ალაზნის შესართავთან. აქედან მიჰყება მდ. მტკვარს ხრამ-ძეგამის შესართავამდე. შემდეგ გაჰყვება ჩათინის მთებს და მივა სამხრეთით ბამბაკის მთებამდე.

4. სამხრეთით – მდ. ძეგამის სათავეებიდან საქართველოს სა-

ზღვარი გაჰყვება ბამბაკის და ბეზობდალის მთებს შორის (საქართველოში რჩება ლორი). შემდეგ ცოტა შიგნით შემოწევით გარს შემოუვლის ახბალას მთას (მთა რჩება სომხეთში). შემდეგ მიდის სამხრეთით, საქართველოში სტოვებს ჩილდირის ტბას, მერე მიჰყება მდ. არაქსისა და მტკვრის წყალთ გამყოფ ქედს. შემდეგ ხაზი შემოუარს თოროთუმს, გაიარს აზრუმის ახლოს მამახათუნზედ, კარგა შიგნით სტოვებს ბაბიურთს, გაიარს გვიმიშხანის გარედ და მიდის შავ ზღვაზედ კერხაძთან ახლოს, ტრაპიზონის კარგა მოშორებით. ეს არის ისტორიული საზღვრები.

2.

ამ ბუნებრივი საზღვრებიდან საქართველოს ხშირად ახევინებდნენ უკან მაგრამ ხელსაყრელ შემთხვევებში ის მას კვლავ იბრუნებდა ხოლმე.

ვინაითგან საქართველოსათვის ცვალებადობის და დაგის საგანი ისტორიულად უმთავრესად სამხრეთის საზღვრები იყო, ამიტომ მთავარ ყურადღებას აქ მას მივაქცევთ.

აღარ ღირს მე-12 საუკუნის უნინარეს ხანაზედ ლაპარაკი, რათგან მაშინ ქართველები აღნიშნულ საზღვრებსაც სცილდებოდნენ, განსაკუთრებით ლაზიკის სამეფო ფროს მე-8 საუკუნითგანაც, როცა კლარჯეთის ქართველთა სამეფო ყალიბდებოდა, ჩვენს მიერ მოხაზული ტერიტორია მუდამ მათ ხელშია. მაშინ საზღვარი ტრაპიზონის იქით გადადიოდა.

სამხრეთის საზღვრების ცვლილება ქართველობის სასარგებლოთ ხდება მე-12 ს-ში, საქართველოს დიდების ხანაში. ამ დროს მთელი ამიერკავკასიის ტერიტორია შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე საქართველოს იმპერიას შეადგენდა. სომხეთის სამთავრო ქართველთა უშუალო მფარველობაში იყო. ქართველთა ვასალები იყვენ თათართა სახანებიც. საქართველოს გავლენის ზონაში შედიოდენ ჩრდილოეთით კავკასიის მთიულები და სამხრეთით სელჯუკთა ზოგიერთი სა-

სულთნობი. თამარის მეფობაში მოხდა ყარსის აღებაც და ამგვარად საზღვარი მტკვრისა და არაქსის წყალთ გამყოფ ქედსაც გადასცდა.

უფრო გვიან, მე-13 ს-ში, როდესაც საქართველოში მონღლობები შემოვიდნენ, მათი წყალობით სამცხის მთავარმა სარგის ჯაყელმა შეიძინა სელჯუკთა აზრუმის სასულთნო, ასე რომ საქართველოს საზღვარი ამ დროს ბაიბურთის სამხრეთით კარგა შორს უნდა გადაწეულიყო, მაგრამ მაღალ შინაური უთანხმოების გამო საქართველო აზრუმის სასულთნოს ჰკარგავს.

მონღლობთა ბატონობითგან დაწყებული, საქართველო ნებნელა ეცემა. ის მსოფლიოსგან იზოლიაციაში მოჰყვა. ჩაეკეტა დასავლეთის გზა. ევროპამ აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზები შორს გადაიტანა და ასე მომწყვდეულ საქართველოში, ირან-ოსმალთა მეტოქეობის ნიადაგზედ იწყება დანანილების პროცესი, უკვე დარღვეული პოლიტიკურად, საქართველოს ნაწილები კიდევ ერთხანს ინარჩუნებენ ძველ საზღვრებს.

მე-17 საუკუნიდან კი, როდესაც ქართლ-კახეთს სპარსელები იკლებენ, ოსმალები იპყრობენ სამცხე საათაბაგოს და აცხადებენ ახალციხის საფაშოდ. შემდეგ დიდ ნაწილს ძალით ამაპმადიანებენ. მრავალ ქრისტიანებს ამოსწყვეტენ და ბევრსაც გადაასახლებენ. შემდეგ ოსმალეთი მიიღობის მთელ დასავლეთ საქართველოს დასაკავებლად. იპყრობს შავი ზღვის ნაპირებს: ბათუმს, ფოთს, და გავლენას ავრცელებს აფხაზეთზედ, ხოლო მუდმივ ცდაშია იმერეთის დაპყრობის.

ამგვარად, მე-17 საუკუნის პირველ ნახევრიდან მოყოლებული, მთელი სამხრეთ დასავლეთი საქართველო (ე. ი. საქართველოს ერთი მესამედი) მოექცა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ. სახელდობრ შემდეგი პროვინციები: გარდა შავი ზღვის ნაპირებისა, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ჭანეთი,

ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი. მთავარი ხაზი საზღვრისა ბათუმიდან გადიოდა აჭარა ახალციხის მთებზედ და ბოლოს უნვდებოდა ბორჯომის ხეობას, ეს ის, რაც უშუალოდ ოსმალების ხელში იყო.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა, როდესაც რუსეთი შემოვიდა საქართველოში. ამ ხანაში ერთ დამახასიათებელ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ახალციხის ფაშები (ჯაყელთა შთამომავლები) უკანასკნელ ხანებში ნახევრად ავტონომიურ მდგომარეობაში იყვენ თურქეთთან. მიუხედავად მათი სრული გამაპმადიანებისა, გადატრით შეიძლება ითქვას, რომ მე-19 ს. დასაწყისამდე მთელი სამაპმადიანო საქართველო სულიერად და კულტურულად დედა საქართველოსთან იყო. ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები უამრავია. პოლიტიკურადაც ახალციხის ფაშები ისეთსავე ურთიერთობაში იყვენ საქართველოს მეფე-მთავრებთან, როგორც უკანასკნელი ერთი მეორესთან. მხოლოდ რუსეთმა რომ საქართველოში ფეხი შემოდგა, ამას სასტიკად შეებრძოლენ მესხები. ამ დროს მესხებსა და დანარჩენ ქართველთა შორის ურთიერთობაზე გავლენას ახდენდა ჯაყელ ფაშებსა და აჭარელ ხიმშიაშვილებს შორის სადინასტიკო ბრძოლაც.

რუსეთი, როგორც კი ფეხს მოიკიდებს საქართველოში, ამ ქვეყნით სარგებლობის თვალსაზრისით აუცილებლად იცნობს ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ, რათა დაიბრუნოს საქართველოს დაკარგული მიწები.

იმდროინდელ დიპლომატიურ მიწერ-მოწერაში მკაფიოდ არის აღნიშნული ზემოხსენებული ადგილების ის მნიშვნელობა, რაც ჩვენ გავითვალისწინეთ. მაში მათი დაპყრობაც ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრით აუცილებელი იყო. იგივე გეგმა ჰქონდა ერეკლეს. ამ პროგრამის განხორციელების მიზნით იყო რომ ერეკლემ და სოლომონ პირველმა შეკრეს სამხედრო კავში-


რი ეკატერინესთან (1768-1774 წნ) რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. თუმცა მოკავშირე რუსეთმა ქართველ მეფეებს იმედი არ გაუმართლა და ასპინძის გმირული ბრძოლის შემდეგ, 1774 წ. კანიარჯის ტრაქტატმა საქართველოსათვის ომის წინანდელი საზღვრები უცვლელი დასტოვა. ბოლოს მეფე ერეკლემ ეს საკითხი 1983 წლის რუსეთ საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებაშიაც შეიტანა. აღნიშნული ტრაქტატის ძალით (იხ. სეპარატისტული კონვენცია) რუსეთი ივალებდა ხელსაყრელ შემთხვევაში დახმარებოდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების აღდგენისათვის. აქ იგულისხმება სამცხე საათაბაგო. აქედან სჩანს, რომ სამხრეთ საქართველოს მნიშვნელობის შეგნებასთან, მაღალი მამულიშვილური გრძნობა და მისი დაბრუნების პრეტენზია ბოლომდის სციცხლობდა ქართველი ერის პოლიტიკაში.

ხოლო მათი ეს კანონიერი და კეთილშობილური ოცნება ნაწილობრივ ფრთხებს შეისხამს მე-19 საუკუნეში, რუსეთის საიმპერიო მისწრაფებათა გზაზე.

1810 წელს რუსებმა მოახდინეს იმერეთის სამეფოს საბოლოო ანექსია და გავლენა გაავრცელეს დასავლეთის დანარჩენ სამთავროებზედაც. ამ დროიდგან დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც რუსეთი წინ მიინევს. 1813 წლის 12 ოქტომბერს გვილისტანის ზავით (მუხ. 3) სპარსეთი სცნობს რუსეთის საკუთრებად: ქართლ-კახეთის სამეფოს, კუბას, ბაქოს, შირვანს, დერბენტს და დაღესტანს. ხოლო შვიდი თვით ადრე, 16 მაისს 1812 წ. რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული ბუქარესტის ზავით თუმცა ომის წინა საზღვრებს უცვლელად სტოვებს, მაგრამ რუსეთმა ომის დროს დაპყრობილი ადგილებიდან ისმალეთს დაუთმო: ახალქალაქი და ფოთი, ხოლო ქ. სოხუმზედ, რომელიც ომამდე თურქებს ეკუთვნოდათ, უარი უთხრა. ამ პუნქტში

გამაგრება მას საშუალებას მისცემდა ადვილად ნასულიყო წინ მავი ზღვის მიმართულებით.

უფრო საგრძნობი პროგრესი ხდება 14 ოქტომბერს 1829 წ-ს ადრიანოპოლის ზავით. ტრაქტატის მე-4 მუხლის ძალით დაპყრობილი ადგილებითგან რუსეთს რჩება: ქ. ახალციხე, ახალციხის საფაშოს ნაწილით, ქ. ახალქალაქი და მის შიგნით მოქცეული ტერიტორია. (ამ სექტორში საზღვარი იყო იქ, სადაც გადის დღეს, ე.ი. 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით). ხოლო ქ. ყარსს,



ნაწილს ახალციხის საფაშოსი (ფოცხოვის თემი) და მის გარედ მოქცეულ ტერიტორიას რუსეთი უთმობს ოსმალეთს. ტრაქტატი აგრეთვე სცნობს რუსეთის საკუთრებად გურია-იმერეთს¹.

ამ ფრონტზედ რუსეთის სარდლობას დიდი პრეტენზიები ჰქონდა. პასკევიჩის გეგმით რუსეთს უნდა დაეჭირა მთელი ტერიტორია ბაიაზეთისა და აზრუმის საფაშოების და გავლენა გაევრცელებინა ქურდისტანზედ. მაგრამ ბაიბურთთან უკანასკნელი ბრძოლა გათავებული არა ჰქონდა, როდესაც ადრიანოპოლში ზავს ხელი მოაწერეს აღნიშნული პირობების დაცვით დარაც პასკევიჩმა გვიან შეიტყო².

ამის შემდეგ მორიგი პროგრესი მოსალოდნელი იყო ყირიმის ამის მისი დროს. მაგრამ 30 მარ-

ტის 1856 წ. პარიზის ტრაქტატი რუსეთ-ოსმალეთს შორის აღმოსავლეთის საზღვრებს უცვლელად სტოვებს, ასე რომ რუსეთი კიდევ ერთხელ უბრუნებს ისმალებს დაპყრობილ ყარსსა და სხვა ადგილებს.

რუსეთის მისნრაფება აქ ვერ შეჩერდებოდა. მართალია ისტორიამ დაამტკიცა, რომ რუსეთის იმპერიალიზმი ამ მიმართულებით კავკასიოთ განისაზღვრა, მაგრამ თვით კავკასიის დაკავება (1864 წ-ს შემდეგ) სრული არ იქნებოდა თუ ის მის ბუნებრივ საზღვრებსა და სიმაგრებს სრულიად არ დაეუფლებოდა.

ეს იყო აუცილებელი პირობა კავკასიის თავდაცვისათვის.

ეს გეგმა განხორციელდა 3 მარტის 1878 წ. რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული სანსტეფანის ზავით (მუხ. 19), რაც 13 ივლისს 1878 წ. ბერლინის ტრაქტატმა დაადასტურა მცირე გამონაკლისით, ე. ი. რუსეთმა პირველი ზავით მიღებულითგან ოსმალეთს უკან დაუბრუნა სომხეთის მხარეს აღაპერეთის ხეობა და ქ. ბაიაზეთი. აი, დეტალურად ბერლინის ტრაქტატით გაყვანილი ხაზი: (მუხ. 8.) „ბრწყინვალე პორტა უთმობს რუსეთის იმპერიას აზიაში ტერიტორიებს, არტანის, ყარსის და ბათუმის თავისი ნავთსადგურით, ისევე ყველა იმ ტერიტორიებს, რომელიც მოთავსებულია რუსეთ-ოსმალეთის ადრინდელ საზღვრებსა და შემდეგ ხაზს შორის:

„ახალი საზღვარი შავი ზღვიდან მიყვება სან-სტეფანოს ზავით განსაზღვრულ ხაზს (იხ. აღნიშნული ტრაქტატი მუხ. 19) ხორდას ჩრდილო დასავლეთით და ართვინის სამხრეთით ერთ ნერტილამდე, საზღვარი სწორი ხაზით მიყვება მდ. ჭოროხამდე, გადაჭრის ამ მდინარეს და გაიარს აშმიაშვილის აღმოსავლეთით; შემდეგ მიდის სწორი ხაზით სამხრეთით და უერთდება სან-სტეფანოს ზავით ნაჩვენებ ხაზს, მერე გაიარს ნარიმანის სამხრეთით და ოლთისს სტოვებს რუსეთისაკენ, და სხვ.“.

აღნიშნული ხაზი საგრძნობლად მიუახლოვდა ისტორიულ საზღვრებს მის აღმოსავლეთ ნაწილში, დასვლეთით კი შორს დარჩა.

ამის შემდეგ დიდ ომამდე აღარაფერი ცვლილება აღარ მომხდარა. თითქმის 40 წელიწადი გრძელდებოდა ეს მდგომარეობა. 1914 წ. ომის დროს თითქმის იყო ის შემთხვევა, როდესაც მოსალოდნელი იყო საზღვრების კვლავ გადაწევა, ე.ი. მთელი ლაზისტანის შემოერთებაც. მაგრამ რუსეთის დამარცხებას მოჰყვა მისი განუხორციელებლობაც და დროებით კიდევ სხვა ადგილების დაკარგვაც.

მართალია ბერლინის ტრაქტატით ლაზიკა კვლავ ოსმალეთის ხელში დარჩა, მაგრამ არტანის, ოლთისის, ართვინის და ბათუმის მხარეების დაბრუნებით შესაძლებელი შეიქნა ნაწილობრივ ტერიტორიალური და ეკონომიკური მთლიანობის გამოსწორება. ამიტომ იყო, რომ რუსეთი 40 წლის განმავლობაში ადვილად ურიგდებოდა ამ საზღვრებში გაჩერებას.

აქეთგან კიდევ ერთხელ მტკიცდება დებულება: რომ ამ მხარის შემოერთება თუ აუცილებელი იყო რუსეთისათვის, რომელსაც საქართველო მხოლოდ ცალკე გუბერნიათ ჰქონდა წარმოდგენილი, მით უმეტეს ის აუცილებელია მაშინ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს.

საქართველოს სამხრეთის საზღვრების საკითხი არ არის მისი ტერიტორიის მეტ-ნაკლები სივრცის დათმობის, არამედ ის არის მისი დამოუკიდებლობის სასიცოცხლო ფაქტორი, მაშასადამე ეს საკითხი საყურადღებო ხდება საერთაშორისო თვალსაზრისითაც, და ვინც საქართველოს დამოუკიდებლობით ნამდვილად არის დაინტერესებული, მას გვერდს ვერ აუხვევს. ხოლო არანაკლებ ანგარიში უნდა გაუწიონ საქართველოს ამ კანონიერ მოთხოვნილებას მისმა მეზობლებმა, ვინც იზიარებენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლო-


ბას და სურთ კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

ამ თვალსაზრისით, 1917-18 წ.წ. ოტომანთა იმპერიის მოქმედება საქართველოს მიმართ იყო წმიდა აგრესიული. თუმცა სხვაგვარი მოქმედება თურქეთისა ისტორიას არ ახსოვს, მაგრამ აღნიშნულ ეპოქისთვის ის დარჩება უცნაურ პარადოქსად და ოსმალეთის მისწრაფების მუდმივ საზომად. აი რატომ: როდესაც რევოლუციის შემდეგ ფაქტიურად დამოუკიდებელი კავკასია ჯერ კიდევ იურდიულად კავშირს არ სწყვეტდა რუსეთის დროებით მთავრობასთან, თურქების აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი ვეხიბ ფაშა წინადადებას აძლევდა კავკასიის მთავრობას დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

ამავე დროს კი ის განაგრძობდა ჯარების პროგრესს შიგნით საქართველოსა და სომხეთისაკენ. ეს მოძრაობა კი არ შეუჩერებია მაშინაც, როდესაც კავკასიამ და მერე მისმა ერებმა ცალ-ცალკე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ოსმალები დაუინებით მოითხოვდენ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დათმობილ ადგილებს. მართალია, კავკასიის და საქართველოს მთავრობამ გამოუცდელობით შეცდომა დაუშვეს, როდესაც დროზედ ვერ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და თავისი დელეგატები არ წარგზავნეს ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ ეს მაინც ვერ ამართლებს ოსმალეთის მოქმედებას და ვერც ამ ფაქტის მომიზეზება ფარავს მათ მისწრაფებას. რადგან კავკასია თუნდაც რომ იმპერიის ნანილად წარმოვიდგინოთ ბრესტ-ლიტოვსკის დროს, თურქების აგრესის დამამტკიცებელი კიდევ ის არის, არაფერ შემთხვევაში მას კავშირი არ ჰქონდა ბრესტ-ლიტოვსკის ავტორებთან. მაგასადამე ბოლშევიკური წარმომადგენლობის დიპლომატიური აქტი იმპერიის ძეველ ნანილებზედ ვერ გავრცელდებოდა, თურქების აგრესის დამამტკიცებელი კიდევ ის არის, რომ

დაიპურეს რა ბოლოს ბრესტ-ლიტოვსკით წაბოძები ადგილები, სხვებიც ზედ მიაყოლეს. ხოლო 4 ივნისს 1918 წლისა, ბათუმში, ოსმალეთის იძულებითა და სრული კარნახით ოსმალეთ-საქართველოს წარმომადგენლები ხელს აწერენ ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ძალით ოსმალები ითვისებენ ბრესტ-ლიტოვსკის დამატებით ახალციხესა და ახალქალაქს. ამ ზავით ოსმალეთმა განაიარადა საქართველო და მის დამოუკიდებლობასაც აზრი დაუკარგა. აღარ შემიძლია აქ მეტის თქმა ამ ზავის პოლიტიკაზედ, ხოლო დავუმატებ, რომ ამ სამარცხვინო აქტს სათაურად აწერია: „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებას“(?)!

მალე კი ოსმალეთის დამარცხებამ და შექმნილმა მდგომარეობამ მას უკან დაახევინა, და საქართველო აღსდგა დაახლოვებით ომის წინა დროინდელ საზღვრებში. ასეთ პირობებში



მოხდა ფაქტიური და იურდიული ცნობა ჯერ ვერსალის უმაღლეს საბჭოს მიერ და მასთან აზია-ევროპა-ამერიკის სახელმწიფოების მიერ, მათ შორის საბჭოთა რუსეთის მიერაც.

3.

ოსმალეთში ხდება ქემალის გადატრიალება და როდესაც 1921 წ. ბოლშევიკური რუსეთი შემოე-

სევა საქართველოს, ოსმალეთიც თავის მხრივ დასძრავს ჯარებს. იკავებს ჯერ არტაან-ართვინის მხარეებს და მერე შემოდის ბათუმსა და ახალციხეში.

დღეს ყველასათვის გარკვეულია, რომ ოსმალეთ-რუსეთი შეთანხმებული იყვნენ (ეს მოხდა ომის წინ) საქართველოში შემოსუვისათვის, რაც 16 მარტის 1921 წლის მოსკოვში რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული „ძმობისა და კავშირის“ ხელშეკრულებით დამტკიცდა. მოსკოვმა ეს ხელშეკრულება დასდო ოსმალეთან 16 მარტს, იმავე დღეს ოსმალები საქართველოს ულტიმატუმის სახით უცხადებენ, რომ თანახმად ანგორის ნაციონალური ყრილობის დადგენილების, ისინი ანექსიას ახდენენ ბათუმისა. 17 მარტს ქართველი ჯარები თურქებს განდევნიან ბათუმიდან, ხოლო ნაციონალური მთავრობა საქართველოს სტოვებს 18 მარტს. აქედან ცხადია, რომ მოსკოვი ჯერ კიდევ არ იყო დაპატრიობული საქართველოს, ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როდესაც მოსკოვ-ანგორა აღნიშნული ტრაქტატით ჩვენს ტერიტორიებს ინაწილებდნენ.

მოკლედ ამ ხელშეკრულებით უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს ბედი. მაგრამ მოსკოვმა, გარეშეთათვის მოსაჩვენებლად, ე. წ. ამიერკავკასიის მთავრობას 13 ოქტომბერს 1921 წ. ყარსში ახალი ხელშეკრულება დაადგინდა, რაც არსებითად იყო მოსკოვის აღნიშნული ხელშეკრულების დადასტურება.

13 ოქტ. 1921 წ. ხელშეკრულება ოსმალეთს უთმობს ყველა იმ ადგილებს, რაც მოიპოვა ძველმა რუსეთმა 1829 წ. ადრიანოპოლის ზავის შემდეგ, ბათუმის გამოკლებით. აღნიშნული ტრაქტატით ოსმალეთის ხელში გადავიდა სამხრეთ საქართველოს დიდი ნანილი. ნანილი ახალციხის მაზრის, ბათუმის მხარის და არტაან-ართვინის მხარეებისა. ტრაქტატის მე-4 მუხლი საზღვრის ხაზს ასე განსაზღვრავს: „ოსმალეთის ჩრდილო-დასავლე-

თი საზღვარი მიჰყვება ხაზს, რომელიც იწყება შავ ზღვასთან მდებარე სოფ. სარტან, ის გაყვება ქედის მთას, მერე გადაიარს მავშეთ-დერა-კანი-დაგ-ის მთის წყალთ გამყოფ ხაზს და შემდეგ მიყვება არტანის და ყარსის ყოფილ ადმინისტრაციული ოლქის ჩრდილოეთით, გადის მდ. არაფა-ჩაისა და არაქსა და ქვემო ყარა-სუს სათავეს..."

ის მხარე, რომელიც ბოლშე-ციკებმა ისმალეთს გადასცეს შეიცავს:

ართვინის ოლქს: – 3 339 კვ. კმ.
მოსახლ. - 61 000³

ფოცხოვის ოქმს: – 588 კვ. კმ.
მოსახლ. - 15000

არტანის ოლქს – 5 137 კვ. კმ.
მოსახლ. - 56000

ოლთისის ოლქს – 3 051 კვ. კმ.
მოსახლ. - 32000

სულ: – 12115 კვ. კმ. მოსახლ. - 164000

გარდა აღნიშნული მხარეებისა, ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. სახელდობრ, ბორჩალოს მაზრის ნანილი 3812 კვ. კმ. და ზაქათალას ოლქი 3564 კვ. კმ.

ამგვარად, ბოლშევიკებმა თურქებს, აზერბეიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიების 19491 კვადრატული კილომეტრის სივრცე.

საბჭოთა საქართველო დღევანდელ ფარგლებში უდრის 71619 კვ. კმ-ს, ე. ი. მთელი საქართველოს ტერიტორია უდრის 91110,4 კვ. კილომეტრს⁴.

ტერიტორიის სიდიდის თვალსაზრისით, საქართველოს მრავალ დამოუკიდებელ სახელმწიფო ზედაც პრივილეგიური ადგილი უჭირავს. მასზე მცირე ტერიტორიას შეიცავს: ლატვია (45791 კვ. კმ.), ლიტვა (55670 კვ. კმ.), ესტონია (47549 კვ. კმ.), დანია (44326 კვ. კმ.) შვეიცარია (41 295 კვ. კმ.), პოლანდია (34223 კვ. კმ.), ბელგია (30444 კვ. კმ.), ალბანეთი (27538 კვ. კმ.), ლუქსემბურგი (2585 კვ. კმ.) და სხვ.

საქართველოს მთელ კავკასიაშიც პირველი ადგილი უკავია.

საქართველო – 91 110,4 კვ. კმ.
აზერბეიჯანი – 84 679 კვ. კმ.
სომხეთი – 30 200 კვ. კმ.
ჩრდ. კავკასია – 90 200 კვ. კმ.⁵

სულ – 296189, 4 კვ. კმ.⁶
მაშინ, როდესაც დღევანდელი თურქეთის ტერიტორია უდრის – 763000 კვ. კმ-ს.

4.

ტერიტორიული განსხვავება საქართველოსი კავკასიის დანარჩენ ნანილებთან გაცილებით პატარა მნიშვნელობისაა. მთავარია მისი ხარისხი, რათგან კავკასიის მდებარეობა ისეთია, რომ ყოველი ადგილი ერთნაირ ღირებულებას არ შეიცავს. ნიადაგის სინოერის, ბუნებრივი სიმდიდრის და მსოფლიოსთან კავშირის თვალსაზრისით, საქართველოს ცენტრალური ადგილი უჭირავს. საქართველო უზარმაზარი სივრცით აკრავს შავ ზღვას და მისი ნავთსადგურებით უკავშირდება ევროპის ბაზარს.

საქართველო მთელ კავკასიაში არის ძირითადი ერთეული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო თვალსაზრისითაც. რაც მაჩვენებელია მისი, რომ მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის ბედი იგივეა, რაც საქართველოსი. ეს დამტკიცდა ისტორიულადაც, კავკასიის დანარჩენი ხალხები იმდენად იყვნენ ხოლმე თავისუფალნი, რამდენადაც საქართველო იყო ძლიერი და იცავდა სამხრეთის საზღვრებს. რათგან ეს ასე იყო, ამიტომ ქართველი მეფეები და სარდლები თვით საქართველოს თავდაცვის სქმეს მთელი კავკასიის, უმთავრესად კი ამიერკავკასიის მასშტაბით ანგარიშობდნენ ხოლმე.

შენიშვნები და განმარტებები

1. რუსეთი, როგორც დასავლეთით და სამხრეთით, ისე სამხრეთ აღმოსავლეთითაც პარალელურად მიიწევდა ნინ. ახლაც 22 თებერვალს 1828 წ-ს თურქმანის ტრაქტატით სპარსეთი უთმობს რუსეთს ნახევანს და ერევანს. (მეს. 3). მე-4 მუხ. ნათქვამია: „ყველა წყლები, რომელიც დიან კასპიის მიმართულებით ეკუთვნიან

რუსეთს“ ე. ი. საზღვრები იყო ყარა-სუს სათავითან პატარა არარატამდე და არაქსიდან აბას-აბადამდე.

2. ამ ომის შემდეგ ახალციხე ახალქალაქიდან დიდიალი ქართველი მაპმადი-ანები იქმნენ გადასახლებული. განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრა მთლად დაიცალა. მათ ადგილას კი რუსების მთავარსარდალმა პასკევიჩმა ისმალებისა შევინორვებული აზრუმის სომხება, 30 ათასზე მეტი სულ, ჩამოასახლა.

3. მოსახლეობის ცნობები ეხება 1916 წლის სტატისტიკას. საგულისხმოა, რომ დღეს ეს რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს. სამწუხაროდ თურქეთის დღევანდელი ადმინისტრაციული დანანილება ნებას არ გვაძლევს აღნიშნული მხარეების მცხოვრებთა რიცხვის საჩქაროდ გამორკვევას.

4. ეს ეხება მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელიც გვეჭირა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, 1918-1921 წლებში. ხოლო ძველი საქართველოს ტერიტორია, რომელიც მოქცეულია 1914 წლის საზღვრების გარედ (ლაზიკა, ტრაპიზონი, გვიმიშანა, (დღეს: გუმუშპანე. ე. ბ.) ჯანიკი, ბაიბურთი, თორთუმი, ლივანა) შეიცავს სივრცით 38608 კვ. ვერსტს, ხოლო მოსახლეობა 1881 წლის თურქეთის აღწერის მიხედვით იქ იყო 490433 მამაკაცი. ქალებით თუ გაორეცეცებულს ვიანგარიშებთ, იქნება 980866 სული. აქეთგან მუსულმანი იყო 748132; დანარჩენი იყვნენ ბერძნ-სომხები. მაშ, თუ სულ უმნიშვნელო ნანილს ქურთების და თურქმენების გამოვაკლებთ, დაგვრჩება ქართველების რიცხვი. მაშ, ჯერ კიდევ მაშინ იქ ნახევარ მილიონზედ მეტი ქართველი მოსახლეობდა.

5. ჩრდილო კავკასია ბოლშევიკების დანანილებით შეიცავს შემდეგ ავტონომიებს: ჩეჩენითი, ინგუშეთი, ყარაჩაი, ჩერქეზეთი, ჩრდ. ლეთი, ყაბარდო და დალესტანი. ეთნოლოგიურად და ისტორიულად ის შეიცავს ჩერქეზეთს, ჩეჩენის, ჩრდ. ლეთს და დალესტანი.

6. ამ რიცხვს უნდა გამოაკლდეს ის, რაც გადაეცათ სომხეთს და აზერბეიჯანს. მაშინადან ის აკლდება თვითეულ მათგანსაც. მაშინ აზერბეიჯანი ჩრდება 81 679 კვ. კმ და სომხეთი 26 579 კვ. კმ.

რედაქტორი: ენვერ ნიუარაძე

დაკაბადონება: პატარა ქორქია

უწყებები – საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის ათვლითი

(პერიოდული) გამოცემა

იბეჭდება აკადემიის სტამბაში